შპს "ლუდი ბათუმური"

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 9

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 10

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 11

BAKASHVILI

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლუდი ბათუმურის“ (ს/კ **245 399 091**) დამფუძნებელს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლუდი ბათუმურის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - **„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“**. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contacts@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264

0177 საქართველი, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

Independent member
Morison Global

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლუდი ბათუმურის“ (ს/კ **245 399 091**) დამფუძნებელს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლუდი ბათუმურის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - **„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.** ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი

ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - **„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“** - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - **„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“** - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას,

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას,

- გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contacts@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264

0177 საქართველი, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com

Independent member
Morison Global

- გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

BAKASHVILI

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს დალი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-405399.

დალი ბაკაშვილი დ. ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია" (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global"-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

22 ოქტომბერი, 2025 წელი

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს დალი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-405399.

დალი ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია" (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global"-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

22 ოქტომბერი, 2025 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირითადი საშუალებები	4	24,135	23,509
გრძელვადიანი აქტივების მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		860	837
სულ გრძელვადიანი აქტივები:		**24,995**	**24,346**
მარაგები	5	954	711
გაცემული სესხი	6	381	413
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	17	37
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	720	998
სულ მიმდინარე აქტივები:		**2,072**	**2,159**
სულ აქტივები:		**27,067**	**26,505**
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	760	760
გაუნაწილებელი მოგება	-	24,726	24,008
სულ მფლობელთა კაპიტალი:		**25,486**	**24,768**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	8	927	976
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**927**	**976**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	34	9
საგადასახადო ვალდებულებები	-	78	71
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	542	681
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**654**	**761**
სულ ვალდებულებები:		**1,581**	**1,737**
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		**27,067**	**26,505**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 22 ოქტომბერს.

გენერალური დირექტორი : ნანა ჯანელიძე

ფინანსური დირექტორი : როინ ხალვაში

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 22 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირითადი საშუალებები	**4**	24,135	23,509
გრძელვადიანი აქტივების მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		860	837
სულ გრძელვადიანი აქტივები:		**24,995**	**24,346**
მარაგები	**5**	954	711
გაცემული სესხი	**6**	381	413
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**-**	17	37
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**7**	720	998
სულ მიმდინარე აქტივები:		**2,072**	**2,159**
სულ აქტივები:		**27,067**	**26,505**
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	**9**	760	760
გაუნაწილებელი მოგება	**-**	24,726	24,008
სულ მფლობელთა კაპიტალი:		**25,486**	**24,768**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	**8**	927	976
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		**927**	**976**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**-**	34	9
საგადასახადო ვალდებულებები	**-**	78	71
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	**8**	542	681
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**654**	**761**
სულ ვალდებულებები:		**1,581**	**1,737**
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები:		**27,067**	**26,505**

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 22 ოქტომბერს.

გენერალური დირექტორი : ნანა ჯანელიძე ----------

ფინანსური დირექტორი : როინ ხალვაში ----------

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 1 2-დან 22 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ამონაგები	**10**	6,431	5,835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**11**	(4,540)	(4,039)
საერთო მოგება		**1,891**	**1,796**
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	**12**	(1,165)	(1,173)
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	**-**	(13)	(10)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**713**	**613**
ფინანსური შემოსავალი	**13**	154	157
ფინანსური ხარჯი	**13**	(164)	(240)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალ/ხარჯი	**-**	16	(22)
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**6**	**(105)**
მოგება დაბეგვრამდე		**719**	**508**
მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	(1)	**(207)**
წმინდა მოგება		**718**	**301**
სხვა სრული შემოსავალი	**-**	-	**-**
სულ სრული შემოსავალი		**718**	**301**

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 22 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	**760**	**24,862**	**25,622**
წმინდა მოგება	-	301	301
დივიდენდი	-	(1,155)	(1,155)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	**760**	**24,008**	**24,768**
წმინდა მოგება	-	718	717
დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	**760**	**24,726**	**25,486**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	717	301
დასაბეგრი მოგების კორექტირება წმინდა ფულად ნაკადებამდე		
ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა	819	806
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი	21	(15)
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	(32)	(32)
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	85	126
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**1,610**	**1,186**
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	20	32
მარაგების ცვლილება	(244)	(37)
საგადასახადო ვალდებულების ცვლილება	7	1
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება	25	(35)
სულ ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	**1,418**	**1,147**
გადახდილი საპროცენტო ხარჯები	(97)	(135)
გადასახდელი საპროცენტო ხარჯი	(9)	(8)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	32	32
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,344**	**1,036**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(1,451)	(2,545)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	9	**3,839**
სულ ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის	**(1,442)**	**1,294**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდებად გადახდილი ფულადი სახსრები	-	(1,155)
სესხის დაფარვა	(1,286)	(639)
სესხის აღება	1,106	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(180)**	**(1,794)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	**(278)**	**536**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	998	462
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	720	998

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 1 2-დან 22 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლუდი ბათუმური (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ., N 24. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლუდის წარმოება და რეალიზაცია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი ნანა ჯანელიძე (პ/ნ 61001008469).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღირდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები	5 პროცენტი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	10 პროცენტი
სატრანსპორტო-საშუალებები	10 -20 პროცენტი

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის

საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2022	**22,841**	**1,677**	**5,035**	**58**	**119**	**29,730**
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	4	1,766	8	6	1,784
გაყიდვები და ჩამოწერა	(3,839)	(2)	(76)	-	-	(3,917)
გაყიდული/ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	(59)	(542)	(6)	(20)	(627)
31.12.2023	**19,002**	**1,620**	**6,183**	**60**	**105**	**26,970**
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	7	1,326	5	225	1,563
გაყიდვები და ჩამოწერა	-	(1)	(98)	-	(1)	(100)
გაყიდული/ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
31.12.2024	**19,002**	**1,626**	**7,411**	**65**	**329**	**28,433**

ცვეთა და გაუფასურება						
31.12.2022	**-**	**(590)**	**(2,643)**	**(40)**	**(9)**	**(3,282)**
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(89)	(692)	(12)	(13)	(806)
გაყიდული/ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	59	542	6	20	627
31.12.2023	**-**	**(620)**	**(2,793)**	**(46)**	**(2)**	**(3,461)**
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი		(85)	(788)	(6)	(32)	(911)
გაყიდული/ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	20	48	2	4	74
31.12.2024	**-**	(685)	(3,533)	(50)	(30)	**(4,298)**

საბალანსო ღირებულება						
31.12.2023	**19,002**	**1000**	**3,390**	**14**	**103**	**23,509**
31.12.2024	**19,002**	**941**	**3,878**	**15**	**299**	**24,135**

2024 წლის 31 დეკემბრის (2024 წლის 31 დეკემბერი) მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით, ჯამური საბალანსო ღირებულება დატვირთული აქტივების შეადგენს 23,353 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი - 20,002 ათასი ლარი).

5. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული და მასალა	434	427
მზა პროდუქცია	513	245
სხვა	7	39
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:	**954**	**711**

6. გაცემული სესხი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხიდან	381	413
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:	**381**	**413**

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	50	9
ფულადი სახსრები ბანკში დოლარში	490	933
ფულადი სახსრები ბანკში ევროში	113	29
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	67	27
საერთო ჯამში:	**720**	**998**

8. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2024	2023
სს საქართველოს ბანკი	8%	25/09/2018	03/11/2025	EUR	-	1,245 GEL
სს საქართველოს ბანკი	8%	25/10/2023	01/04/2031	USD	303 GEL	325 GEL
სს საქართველოს ბანკი	12%	25/10/2023	01/11/2027	USD	63 GEL	78 GEL
სს საქართველოს ბანკი	7,25%	18/12/2024	03/12/2029	EURO	1,103 GEL	-
					1,469 GEL	**1,648 GEL**

სესხის ძირი და საპროცენტო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024 წ.
ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 1 იანვრის მდგომარეობით	**1,648**
ნასესხები სახსრები	1,106
საპროცენტო ხარჯი	85
სესხის ძირითადი თანხის შენატანები	(1,286)
გადახდილი პროცენტი	(97)
საკურსო სხვაობა	13
სულ ჯამში:	**1,469**

გადასახდელი საპროცენტო ხარჯი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9 ათას ლარს.

2024 წლის 31 დეკემბრის (2023 წლის 31 დეკემბერი) მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით.

სასესხო შეთანხმება გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვას დივიდენდის გაცემაზე, მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა N 14.

9. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 760 ათას ლარს, რომელიც აღიარებულია დამფუძნებლის შენატანის სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

10. ამონაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
პროდუქციის რეალიზაცია - საბითუმო	5,651	5,253
პროდუქციის რეალიზაცია - საცალო	780	582
სულ	**6,431**	**5,835**

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეულის ხარჯი	(2,166)	(2,208)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(1,211)	(633)
ცვეთა და ამორტიზაცია	(662)	(675)
ძირითადი საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(129)	(156)
ელექტრო-ენერგიის ხარჯი	(158)	(157)
ბუნებრივი აირის ხარჯი	(118)	(115)
წყლის ხარჯი	(96)	(95)
სულ	**(4,540)**	**(4,039)**

12. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(156)	(45)
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(762)	(850)
შეძენილი სერვისები	(123)	(136)
ქონების გადასახადის ხარჯი	(55)	(46)
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი	(24)	(3)
სანებართვო მოსაკრებლის ხარჯი	-	(8)
სხვა საერთო ხარჯი	(46)	(85)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი:	**(1,165)**	**(1,173)**

13. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური შემოსავალი		
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	83	41
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი	39	-
საპროცენტო შემოსავალი	32	32
სულ ფინანსური შემოსავალი:	**154**	**73**

ფინანსური ხარჯი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საპროცენტო ხარჯი	(85)	(126)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი	(59)	(7)
საბანკო მომსახურების საკომისიო	(20)	(23)
სულ ფინანსური ხარჯი:	**(164)**	**(156)**

14. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

ბანკის სესხის ხელშეკრულების პირობის მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხის გადასახდელი ნაშთის ჯამამდე ნაკლებ სიდიდემდე.

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული–ქართული ლარი

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
სასესხო მოთხოვნები და მისაღები პროცენტები	369	404
სულ:	**369**	**404**

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
შრომის ანაზღაურება	553	369
საპროცენტო შემოსავალი	(29)	(37)
სხვა დანახარჯი	7	14

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 22 ოქტომბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

მმართველობითი ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს "ლუდი ბათუმური" (შემდგომში „კომპანია") შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის ქ., N 24.

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლუდის წარმოება და რეალიზაცია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი ნანა ჯანელიძე (პ/ნ 61001008469).

1. *კომპანიის განვითარების გეგმები:*

კომპანიაში დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმაა უფრო მეტი ერთგული მომხმარებლის მოზიდვა და საქმიანობის გაფართოება. კომპანიამ საკუთარი სახსრებით აღჭურვა საფერმენტაციო საამქრო და შეიძინა ახალი მანქანა-დანადგარები.

2. *კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:*

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. *ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:*

კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიაზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

საკრედიტო რისკი

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრ აგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების **(საპროცენტო რისკი)** და ვალუტის კურსის **(სავალუტო რისკი)** ცვლილებების შედეგად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

4. კომპანიის სესხები:

	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2024	2023
სს საქართველოს ბანკი	8%	25/09/2018	03/11/2025	EUR	0 GEL	1,245 GEL
სს საქართველოს ბანკი	8%	25/10/2023	01/04/2031	USD	303 GEL	325 GEL
სს საქართველოს ბანკი	12%	25/10/2023	01/11/2027	USD	63 GEL	78 GEL
სს საქართველოს ბანკი	7,25%	18/12/2024	03/12/2029	EURO	1,103 GEL	-
					1,469 GEL	**1,648 GEL**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ბანკი“-სგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით.

5. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

6. სხვა დამატებითი ინფორმაცია სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ გთხოვთ იხილოთ შპს „ლუდი ბათუმურის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 22-10-2025 წ.

დირექტორი:

/ნანა ჯანელიძე/

5. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

6. სხვა დამატებითი ინფორმაცია სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ გთხოვთ იხილოთ შპს „ლუდი ბათუმურის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 22-10-2025 წ.

დირექტორი:

/ნანა ჯახელიძე/